საქართველო

38367-01-2-201710201127

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/38367
20/10/2017

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საქართველოს შემოსავლების სამსახური

საქართველოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

საგარეო საქმეთა სამინისტროს მ.წ. 18 სექტემბრის № 01/33954 წერილზე დამატებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს მოწვევით, მ.წ. 13-15 ნოემბერს საქართველოს ვიზიტით ეწვევა სამხრეთ-სამხრეთ თანამშრომლობის ოფისის დელეგაცია. ვიზიტის ამოცანაა რეფორმების გაზიარების კუთხით საქართველოს პოტენციალის შესწავლა, შემდგომ ანგარიშში მისი ასახვისა და სხვა ქვეყნებისთვის შეთავაზების მიზნით.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასურველად მიგვაჩნია ვიზიტის ფარგლებში თქვენს უწყებაში შეხვედრის ორგანიზება (შესაბამისი დეპარტამენტის დირექტორის დონეზე), რათა დელეგაციას მიეწოდოს ამომწურავი ინფორმაცია თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განხორციელებული რეფორმების შესახებ.

გთხოვთ, განიხილოთ 13-15 ნოემბრის პერიოდში, სამხრეთ-სამხრეთ თანამშრომლობის ოფისის დელეგაციასთან შეხვედრის შესაძლებლობა და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში გვაცნობოთ თქვენთვის სასურველი თარიღი და დრო.

პატივისცემით,
თეა მაისურაძე

დეპარტამენტის დირექტორი

საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტი